



30.05.2016

## საქართველოს მთავარი პროკურორის ანგარიში

2015 წლის 27 ნოემბერი - 2016 წლის 30 მაისი

პროკურატურის რეფორმის პირველი ეტაპის წარმატებით დასრულების შემდეგ, სისტემა განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა და მრავალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. მთავარი პროკურორის არჩევისა და დანიშვნის წესის ცვლილების, პროკურატურის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის საკანონმდებლო დონეზე და პრაქტიკაში რეალიზების შემდეგ, დღის წესრიგში დადგა გადაწყვეტილების მიღების პროცესში პროკურორთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებული შეფასების სისტემისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ეფექტური მექანიზმების შექმნის გზით. პროკურატურამ მიზნად დაისახა საზოგადოების ინტერესებზე და საჭიროებებზე ორიენტირებული სისტემის ჩამოყალიბება, ბრალდებულთა უფლებების მაქსიმალურად დაცვა, პროკურორთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე მუდმივი ზრუნვა, დანაშაულთან ბრძოლის სფეროში ახალი მიდგომების შემუშავება, არსებული საგამოძიებო და საპროკურორო პრაქტიკის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის და დანაშაულის პრევენციაში საზოგადოების წევრების ჩართულობის უზრუნველყოფა.

მიზნების მისაღწევად, ზემოაღნიშნული პერიოდის განმავლობაში არაერთი აქტივობა განხორციელდა, გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები პროკურორთა დამოუკიდებლობის განმტკიცების, გავრცელებული დანაშაულების წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების, საგამოძიებო და საპროკურორო საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით.

### პროკურატურის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

პროკურატურის რეფორმის მეორე ფაზა 2015 წლის დეკემბრიდან პროკურატურის განვითარების 6 წლიან სტრატეგიაზე და სამოქმედო გეგმაზე მუშაობით დაიწყო:

- შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა სტრატეგიის შემუშავების პროცესში პროკურატურის სტრუქტურული დანაყოფების, რიგითი პროკურორების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობის უზრუნველყოფა იყო;



30.05.2016

- მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით, წინადადება გაეგზავნათ პროკურორებს, რომელთა მიერ მოწოდებული იდეებისა და ხედვების საფუძველზე ცალკეული სტრატეგიული მიმართულებები განისაზღვრა;
- პირველად პროკურატურის ისტორიაში, ევროსაბჭოს ფინანსური მხარდაჭერით, სოციოლოგის დახმარებით, ჩატარდა თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევა, რომელიც პროკურატურის განვითარების მნიშვნელოვან ასპექტებს შეეხო. თანამშრომელთა გამოკითხვა სპეციალურად ამ მიზნით შედგენილი კითხვარების მიხედვით განხორციელდა და პროკურატურის ყველა სტრუქტურული დანაყოფი მოიცვა;
- მომზადდა თანამშრომელთა დატვირთვის ანალიზი, რამაც შესაძლებლობა მოგვცა ადამიანური რესურსების გამოყენების ეფექტურობა შეგვეფასებინა;
- აშშ-ს საელჩოს მიერ მოწვეულმა ექსპერტმა 2016 წლის თებერვალში, ერთკვირიანი შეხვედრის განმავლობაში, სამუშაო ჯგუფს ცალკეული სტრატეგიული მიმართულებების შესახებ აშშ-ს პრაქტიკა გააცნო.

უახლოეს მომავალში სტრატეგია და სამოქმედო გეგმა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს წარედგინებათ იუსტიციის სამინისტროს სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფორმატში, რის შემდეგაც მისი წარდგენა მოხდება საპროკურორო საბჭოსთვის. სტრატეგია და სამოქმედო გეგმა მათ გასაჯაროებამდე ექსპერტიზას აშშ-ს საელჩოს ექსპერტებთან გაივლის.

### სტრატეგიული მიმართულებები

პროკურატურის ძირეული რეფორმის პირველი ეტაპის განხორციელების შემდეგ, სისტემის წინაშე მდგარ უმთავრეს ამოცანად გადაწყვეტილების მიღების პროცესში პროკურორთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა იქცა.

- აღნიშნული მიზნის მისაღწევად, დავიწყეთ მუშაობა პროკურორთა თანამდებობაზე დანიშვნის, დისციპლინური პასუხისმგებლობის, გათავისუფლებისა და წახალისების (მათ შორის დაწინაურების) იმგვარი სისტემის შექმნაზე, რომელიც გადაწყვეტილების მიღების პროცესში, პირველ რიგში, რიგითი პროკურორის დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს და მენეჯერის მიერ სუბიექტური შეფასების ალბათობას გამორიცხავს;



30.05.2016

- დავიწყეთ მუშაობა შეფასების იმგვარ სისტემაზე, რომელიც დროის მოკლე მონაკვეთში, წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, თითოეული პროკურორის საქმიანობის შეფასების შესაძლებლობას მოგვცემს, იქნება გამჭვირვალე და მინიმუმამდე დაიყვანს პროკურორთა სუბიექტური შეფასების რისკებს, საბოლოო ჯამში, კი თითოეული პროკურორის დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს. ამ მიზნით, პროკურატურაში უკვე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც ის კრიტერიუმები ჩამოაყალიბა, რომლებიც პროკურორთა შეფასებას უნდა დაედოს საფუძვლად;
- **რეფორმის მეორე ფაზის ფარგლებში ამოცანად დავისახეთ ასევე დისციპლინური პასუხისმგებლობის მექანიზმის დახვეწა**, რაც ეთიკის კოდექსის გადახედვას და დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების მკაფიოდ გაწერას გულისხმობს. ჩვენი მიზანია, პროკურატურის თანამშრომლებს ნათელი წარმოდგენა შევუქმნათ იმის თაობაზე, თუ რა შემთხვევებში შეიძლება გახდნენ ისინი დისციპლინური დევნის ობიექტი და რა სახის პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროთ. ამ მიზნით უკვე გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები - მიმდინარე წელს შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, მომზადდა ეთიკის კოდექსის ახალი ვერსია, რომელიც ექსპერტიზას საერთაშორისო სტანდარტებთან მისი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, უცხოელ ექსპერტებთან გაივლის;
- დისციპლინური პასუხისმგებლობის მექანიზმის დახვეწისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია - **კოლეგიური ორგანო (პროკურორთა საკონსულტაციო საბჭო)**, რომელიც 2016 წლის 11 იანვარს მთავარი პროკურორის გადაწყვეტილებით შეიქმნა. აღნიშნული საბჭო პროკურატურის ხელმძღვანელი თანამდებობის პირებისა და საპროკურორო საბჭოს წევრებისაგან არის დაკომპლექტებული და პროკურატურის განვითარებისთვის მნიშვნელოვან სხვა საკითხებთან ერთად, პროკურორთა წახალისების, დაწინაურებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხებს განიხილავს. ამგვარი სისტემა გამორიცხავს დისციპლინური სახდელის ერთპიროვნულად დაკისრების შესაძლებლობას და მინიმუმამდე დაჰყავს პროკურორის მიერ ამა თუ იმ გადაწყვეტილების მისაღებად მასზე შესაძლო უკანონო ზემოქმედების განხორციელების რისკები. დღეის მდგომარეობით საკონსულტაციო საბჭოს 4 სხდომა გაიმართა, სადაც პროკურორთა დაწინაურების, წახალისებისა და მათ მიმართ დისციპლინური სახდელების გამოყენების საკითხები გადაწყდა.



30.05.2016

საკონსულტაციო საბჭოს ფორმატი მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ პროკურორებს, რომელთა წახალისების, დაწინაურებისა და დასჯის საკითხიც განიხილება, აქვთ საბჭოს სხდომებში მონაწილეობის მიღებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა, რასაც გამორიცხავდა მანამდე არსებული სისტემა.

- უკანასკნელ წლებში **დაზარალებულთა ინტერესების დაცვა** პროკურატურის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენდა და ამ მიმართულებით მუშაობა 2016 წელსაც გაგრძელდა. მიმდინარე წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა **მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთა სამსახურის გაძლიერების მიზნით**. აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერით 2016 წლის მარტში განხორციელდა პროკურორების და კოორდინატორების სასწავლო ვიზიტი აშშ-ი, სადაც ისინი გაეცნენ საერთაშორისო პრაქტიკას. 2016 წლის აპრილში უკვე გაიმართა პირველი სამუშაო შეხვედრა, რომლის მონაწილეებმაც ცალკეული მიმართულებებით კოორდინატორთა ფუნქციების გაფართოების საკითხები განიხილეს. განხორციელდა კოორდინატორთა გადამზადება მათი არასრულწლოვანთა, ოჯახური ძალადობისა და ტრეფიკინგის საქმეებში ჩართვის მიზნით;
- მოქალაქეებისთვის ეფექტური „სერვისის“ მიწოდების მიზნით **2016 წელს შევქმენით მოქალაქეებთან შეხვედრის ელექტრონული პროგრამა**, რომელიც პროკურორთან აუდიენციის მსურველ მოქალაქეს შეხვედრის დროულად დაგეგმვის შესაძლებლობას მისცემს. ჩვენი მიზანია, მაქსიმალურად ვიყოთ ორიენტირებულები დაზარალებულების და იმ ადამიანების საჭიროებების დაკმაყოფილებაზე, რომლებიც პროკურატურას სამართლებრივი დახმარების თხოვნით მომართავენ. პროგრამა საწყის ეტაპზე რუსთავისა და მცხეთის რაიონულ პროკურატურებში ამოქმედდება და ეტაპობრივად ყველა სტრუქტურულ დანაყოფში დაინერგება;
- 2016 წლის 16 მაისს საქართველოს პროკურატურამ იუსტიციის სამინისტროსთან ერთად აქტიურად დაიწყო მუშაობა **ანალიტიკური მოდულისა და გამოძიების ელექტრონული პროგრამის დახვეწაზე**. უკვე შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც სისტემის გაუმჯობესებაზე და რეფორმის კონცეფციაზე მუშაობს. 2016 წლის სექტემბრიდან, შემუშავებული ამოცანის მიხედვით, გამოძიების ელექტრონული პროგრამისა და ანალიტიკური მოდულის რეფორმირება განხორციელდება, რაც სტატისტიკის სრულყოფილად, ელექტრონულად წარმოების შესაძლებლობას მოგვცემს.



30.05.2016

## არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება საქართველოს პროკურატურისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ეს არის გამოწვევა, რომელსაც ბოლო პერიოდში ერთობლივი ძალისხმევით კარგად გავართვით თავი. თუმცა, მიღწეული შედეგებით არ ვკმაყოფილდებით. ჩვენი ამოცანაა ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებული მართლმსაჯულების სისტემის ჩამოყალიბება და ამ სფეროში ჩართული ყველა პირის პროფესიულ განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა.

საქართველოს პროკურატურამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ბავშვის ინტერესებზე ორიენტირებული მართლმსაჯულების სისტემის შესაქმნელად. შედეგად პროკურორები 2016 წლის 01 იანვარს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედებას მომზადებულები შეხვდნენ.

ჯერ კიდევ ახალი კოდექსის ამოქმედებამდე მთავარმა პროკურორმა გამოსცა ბრძანება სპეციალიზაციის შესახებ, რომლის თანახმად, არასრულწლოვანთა საქმეებზე საპროკურორო უფლებამოსილების განხორციელება მხოლოდ სპეციალიზებულ პროკურორებს მიენიჭათ. 2015 წლის ბოლოს, კოდექსის ამოქმედებამდე, პროკურატურას ჰყავდა სათანადოდ მომზადებული 139 სპეციალიზებული პროკურორი, რომლებმაც გადამზადება საერთაშორისო სტანდარტებში, არასრულწლოვანთა პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში გაიარეს. დღეის მდგომარეობით პროკურატურის ყველა სტრუქტურულ დანაყოფში არასრულწლოვანთა საქმეებზე საპროკურორო საქმიანობას სპეციალიზებული პროკურორები ახორციელებენ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2015-2016 წლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განვახორციელეთ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში:

- ჩავატარეთ არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის გამომწვევი მიზეზების კვლევა;
- შევისწავლეთ არასრულწლოვანთა მიმართ დევნის ალტერნატიული მექანიზმების (განრიდება-მედიაციის) გამოყენების პრაქტიკა;
- დავხვეწეთ განრიდება-მედიაციის პროგრამის კონტროლის მექანიზმები. საქმეთა კონტროლი წინასწარ შემუშავებული პარამეტრების მიხედვით მიმდინარეობს, რომელიც გარდა დანაშაულის კატეგორიისა, განრიდება პროცესის და ხელშეკრულების ხანგრძლივობას,



30.05.2016

დევნის დაწყების თუ განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროულობას და სხვა პარამეტრებს მოიცავს;

- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედებამდე მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხებზე მოვამზადეთ რეკომენდაციები პროკურორებისთვის;
- მოვამზადეთ სახელმძღვანელო სპეციალიზებული პროკურორებისთვის, რომელიც დღეს მათი სამაგიდო წიგნია;
- გავააქტიურეთ პრევენციული ღონისძიებები.

შედეგად, მინიმუმამდე დავიყვანეთ განრიდების მექანიზმის გამოყენებამდე არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემთხვევები; გავზარდეთ მედიაციის გამოყენების მაჩვენებელი; უზრუნველვყავით გადაწყვეტილების მიღების დროულობა; მნიშვნელოვნად გავზარდეთ დევნის ალტერნატიული მექანიზმების (განრიდება-მედიაციის) გამოყენების მაჩვენებელი, შევამცირეთ პატიმრობა არასრულწლოვნებში და მათ მიმართ საპატიმრო სასჯელის გამოყენების მაჩვენებელი (იხილეთ ქვემოთ).

### ლიბერალური სისხლის სამართლის პოლიტიკა

უკანასკნელ წლებში პროკურატურა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე იდგა. საჭირო გახდა ახალი სტანდარტების დამკვიდრება და ფაქტიურად რეპრესიული სისხლის სამართლის პოლიტიკიდან რესტიტუციულ სისხლის სამართლის პოლიტიკაზე გადასვლა. თუ რეპრესიული სისხლის სამართლის პოლიტიკის პირობებში პროკურატურა ორიენტირებული იყო დასჯაზე, რესტიტუციული სისხლის სამართლის პოლიტიკის პირობებში ჩვენთვის მნიშვნელოვანი გახდა ზიანის მინიმალიზება, დანაშაულის შესატყვისი სასჯელების გამოყენება, ბრალდებულის უფლებებისა და დაზარალებულის ინტერესების მაქსიმალური დაცვა. ამ მიზნით, უკანასკნელი წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა განრიდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობა, დაიკლო პატიმრობის გამოყენების მაჩვენებელმა როგორც არასრულწლოვნებში, ისე სრულწლოვნებში.

სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ პროკურორები საკმაოდ აქტიურად იყენებდნენ განრიდების მექანიზმს, რომლის საშუალებითაც ასეულობით არასრულწლოვანს მიეცა ნასამართლობის გარეშე ცხოვრების გაგრძელების შესაძლებლობა.






30.05.2016


პროგრამის ამოქმედების პირველ, 2010 წელს, განრიდებული იქნა 2 არასრულწლოვანი, 2011 წელს - 81, 2012 წელს - 125, 2013 წელს - 331, 2014 წელს - 203, ხოლო 2015 წელს - 296 არასრულწლოვანი.

განრიდებული არასრულწლოვნები



2014 წელს, წინა წელთან შედარებით, განრიდებული არასრულწლოვნების რაოდენობის კლება განაპირობა სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებულმა ცვლილებამ, რომლის თანახმად, არასრულწლოვნის მიერ ცივი იარაღის ტარება პირველ და მეორე ეტაპზე აღარ წარმოადგენს დანაშაულს. 2013 წელს განრიდებული 331 პირიდან, 122 მათგანის მიერ ჩადენილი იყო სწორედ საქართველოს სსკ-ის 238<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, ხოლო დარჩენილი 209 პირის მიერ ჩადენილი იყო სხვა დანაშაული (ძირითადად ქურდობა).

განრიდებული არასრულწლოვნების რაოდენობის მატებასთან ერთად შევამცირეთ არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემთხვევები.






30.05.2016


პროცენტულ ჭრილში, 2012 წელს განრიდებული იქნა დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვნების 25%; 2013 წელს - 51%; 2014 წელს - 40%; 2015 წელს - 44%.

პროგრამის წარმატებულობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მისი ამოქმედებიდან (2010 წლიდან) დღემდე განრიდებული არასრულწლოვნების მხოლოდ 8%-მა ჩაიდინა ახალი დანაშაული.



საერთაშორისო სტანდარტებით პროგრამა მაშინაც კი ითვლება წარმატებულად, როდესაც რეციდივის მაჩვენებელი 20% -ის ფარგლებშია.

არასრულწლოვანთა მიმართ ლიბერალური სისხლის სამართლის პოლიტიკა შევინარჩუნეთ 2016 წელსაც. 2016 წლის 4 თვის მდგომარეობით განრიდებული არასრულწლოვნების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება წინა წლების ანალოგიურ პერიოდში განრიდებულ პირთა რაოდენობას, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი საგრძნობლად იკლებს. 2016 წლის 4 თვეში განრიდებულია დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვანთა 59 %.








30.05.2016

გატარებული ღონისძიებების და ეფექტური სისხლის სამართლის პოლიტიკის შედეგად, არამხოლოდ გაიზარდა განრიდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობა, არამედ არასრულწლოვნებში შემცირდა პატიმრობის მაჩვენებელი.

2009 წელს პატიმრობა გამოყენებული იქნა დევნადაწყვებულ არასრულწლოვანთა 42.6%-ის მიმართ; 2010 წელს - 39.7%-ის მიმართ, 2011 წელს - 24.6%-ის მიმართ, 2012 წელს - 21.6%-ის მიმართ, 2013 წელს - 11.1%-ის მიმართ, 2014 წელს - 12.5%-ის, 2015 წელს კი მხოლოდ 9.4%-ის მიმართ. აღნიშნული მაჩვენებელი უკანასკნელი წლების განმავლობაში უპრეცედენტოდ დაბალია.

### პატიმრობის მაჩვენებელი არასრულწლოვნებში




უკანასკნელ წლებში მინიმუმამდე იქნა დაყვანილი არასრულწლოვნებში საპატიმრო გირაოს გამოყენების მაჩვენებელი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ არასრულწლოვნებში პატიმრობის შემცირება არა საპატიმრო გირაოს, არამედ არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების და დევნის ალტერნატიული მექანიზმების ხარჯზე მოხდა. 2013-2015 წლებში საპატიმრო გირაოს გამოყენება არასრულწლოვნების მიმართ 2009-2011 წლებთან შედრებით განახევრებულია, ხოლო 2016 წელს აღკვეთის აღნიშნული ღონისძიება მხოლოდ ერთ პირს შეეფარდა.




30.05.2016

### საპატიმრო გირაოს მაჩვენებელი არასრულწლოვნებში (2009-2011 წლები)




### საპატიმრო გირაოს მაჩვენებელი არასრულწლოვნებში (2013-2016 წლები)



ლიბერალური სისხლის სამართლის პოლიტიკა არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებული საპატიმრო სასჯელების მაჩვენებელშიც გამოიხატა. 2016 წელს (4 თვე) საპროცესო შეთანხმების შედეგად არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებული საპატიმრო სასჯელის მაჩვენებელი უპრეცედენტოდ დაბალია (0.38%), წინა წლების ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.




30.05.2016




პატიმრობის მაჩვენებელი შემცირდა ასევე სრულწლოვნებშიც.


### პატიმრობის მაჩვენებელი სრულწლოვნებში



### საპატიმრო გირაოს მაჩვენებელი სრულწლოვნებში (2009-2011 წლები)



### საპატიმრო გირაოს მაჩვენებელი სრულწლოვნებში (2013-2016 წლები)




აღსანიშნავია, რომ საპატიმრო გირაოს გამოყენება უკანასკნელ პერიოდში აღარ ატარებს ფორმალურ ხასიათს და გამოიყენება მხოლოდ გადახდისუნარიანი ბრალდებულების მიმართ. მაგალითად, 2016 წლის მონაცემებით პენიტენციურ დაწესებულებაში შესახლებული 840 ბრალდებულიდან, რომელსაც შეფარდებული ჰქონდა საპატიმრო გირაო, 768 (91%) გათავისუფლდა გირაოს გადახდის საფუძველით. აღსანიშნავია, რომ 2016 წელს არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით მხოლოდ ერთ შემთხვევაში იქნა გამოყენებული საპატიმრო გირაო.



30.05.2016

ლიბერალური სისხლის სამართლის პოლიტიკა საპროცესო შეთანხმების დროს ჯარიმის ოდენობის კლებაშიც გამოიხატა. უკანასკნელ წლებში ჯარიმის სახით ბიუჯეტში გადახდილი თანხების ოდენობა თითქმის სამჯერ (ხოლო 2015 წლის 2010 წელთან შედარებით თითქმის 4-ჯერ) არის შემცირებული.

### საპროცესო შეთანხმების დროს ჯარიმის ოდენობა- ლარში





30.05.2016

## გამოძიებისა და საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება

2015-2016 წლებში პროკურატურამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა გამოძიებისა და საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ასამაღლებლად. ამ მიზნით:

- გაანალიზდა იძულებისა და აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკა, რომლის შედეგებიც, ამ მიმართულებით პროკურორთა გადამზადებას დაედო საფუძვლად. პროკურორებისთვის მომზადდა რეკომენდაცია აღკვეთის ღონისძიებების დასაბუთების შესახებ. სახელმძღვანელო, რომელიც შიდა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან ერთად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებსაც ასახავს, უზრუნველყოფს პროკურორთა შუამდგომლობების დასაბუთებულობას. ევროკავშირის და ევროსაბჭოს დახმარებით გადამზადდა 15 ტრენერი პროკურორი პატიმრობისა და დაკავების საერთაშორისო სტანდარტებში (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით), განხორციელდა აღნიშნულ პროკურორთა სასწავლო ვიზიტი სტრასბურგში. ევროკავშირის მიერ მოწვეული ადამიანის უფლებათა ექსპერტის - ჯერემი მაკბრაიდის მიერ მომზადდა სახელმძღვანელო, ტრენერი პროკურორებისთვის, რომელიც პატიმრობისა და დაკავების შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას ასახავს. სახელმძღვანელო დაინერგა ტრენინგ მოდულებში, რომლის მიხედვითაც 2015 წელს გადამზადება საქართველოს მასშტაბით ყველა პროკურორმა გაიარა. პროკურორთა მასშტაბური გადამზადება 2015 წლის მაისში მენეჯერების გადამზადებით დაიწყო. ზემოაღნიშნული მიმართულებით გადადგმულმა პოზიტიურმა ნაბიჯებმა გარდა იმისა, რომ ამ მიმართულებით საპროკურორო საქმიანობის ხარისხი გააუმჯობესა, ბრალდებულთა მიმართ გამოყენებული პატიმრობა შეამცირა. აღკვეთის ღონისძიებების მონიტორინგი ტრენინგების დასრულების შემდგომაც გაგრძელდა და 2015 წლის ბოლოს, ამ მიმართულებით კვალიფიციური საქმიანობისთვის არაერთი პროკურორი წახალისდა;
- 2015-2016 წლებში პროკურორებისთვის მომზადდა რეკომენდაციები ძალადობის (მათ შორის ოჯახში ძალადობის) გამოძიების, დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულების, ტრეფიკინგის გამოძიების, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის გამოყენების, მოწმის გამოკითხვის/დაკითხვის წესის შესახებ. რეკომენდაციები შეეხებოდა ასევე სისხლის სამართლის კანონმდებლობაში განხორციელებულ მნიშვნელოვან ცვლილებებს;



30.05.2016

- ევროკავშირისა და ევროსაბჭოს ფინანსური დახმარებით შეიქმნა **სამართლებრივი წერის სახელმძღვანელო** პროკურორებისთვის. სახელმძღვანელო შეიცავს როგორც სამართლებრივი წერის ზოგად პრინციპებს, ისე ცალკეული საპროკურორო დოკუმენტების შედგენის წესს. 2016 წლის აპრილში ევროსაბჭოს ფინანსური მხარდაჭერით უკვე განხორციელდა 15 ტრენერი პროკურორის გადამზადება, რომლებიც წლის განმავლობაში სამართლებრივ წერაში სისტემის გამომძიებლებსა და პროკურორებს გადაამზადებენ;
- პრაქტიკოსი გამომძიებლებისა და პროკურორებისგან შემდგარი ჯგუფის მიერ შეიქმნა გამოძიების **მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო**, რომელიც ცალკეული საგამომძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების მეთოდოლოგიას ასახავს. სახელმძღვანელო იქნება გამომძიებლების სამაგიდო წიგნი, რომელიც გაზრდის გამოძიების ეფექტურობას და დაინერგება ტრენინგ-მოდულებში;
- მთავარი პროკურატურა მუდმივად ახორციელებს **სასამართლო სხდომებისა და საპროკურორო დოკუმენტების მონიტორინგს**, ამოწმებს საგამომძიებო და საპროცესო მოქმედებების ამსახველი ოქმების კანონთან შესაბამისობას. ანგარიშის შედეგად ხორციელდება პროკურორთა გადამზადება ამა თუ იმ მიმართულებით და მზადდება რეკომენდაციები ცალკეულ სამართლებრივ საკითხებზე. მონიტორინგის შედეგების მიხედვით, ხდება პროკურორთა წახალისება და მათ მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება. ამგვარი მონიტორინგი 2015-2016 წლებშიც განხორციელდა.





30.05.2016

## გენერალური ინსპექციის მუშაობის შედეგები

*მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის მიერ 2016 წლის 01 იანვრიდან 30 მაისამდე პერიოდში მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის დებულების მე-5-ე მუხლის შესაბამისად:*

- ჩატარებული იქნა **28** სამსახურებრივი შემოწმება.
- პროკურატურის სისტემიდან **დათხოვნილი** იქნა **2** თანამშრომელი;
- დისციპლინური სახდელი **შენიშვნა** გამოეცხადა **3** თანამშრომელს;
- **სარეკომენდაციო ბარათი** გაეგზავნა **3** თანამშრომელს;
- **2** თანამშრომელი სამსახურებრივი შემოწმების პროცესში, **პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა** პროკურატურის სისტემიდან.
- სამსახურებრივი შემოწმებით **არ დადასტურდა** თანამშრომლების მიერ გადაცდომის **11** ფაქტი;
- საკონსულტაციო საბჭოსათვის განსახილველად გადაგზავნილია **7** სამსახურებრივი შემოწმების დასკვნა **7** თანამშრომლის მიმართ, დისციპლინური სახდელის კონკრეტული სახის შეფარდების საკითხის გადასაწყვეტად;
- ამჟამად სამსახურებრივი შემოწმება მიმდინარეობს გადაცდომის **10** ფაქტზე.

2016 წლის 11 თებერვალს საქართველოს მთავარ პროკურორთან არსებულ საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის მიერ წარდგენილი იქნა სამსახურებრივი შემოწმების 5 დასკვნა ჩადენილი დარღვევების გათვალისწინებით 5 პროკურორის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების საკითხის გადასაწყვეტად.

- საკონსულტაციო საბჭოს წევრების მიერ **2** დასკვნაზე **2** პროკურორის მიმართ გაზიარებული იქნა გენერალური ინსპექციის პოზიცია დისციპლინური სახდელის გამოყენების მიზანშეწონილობის თაობაზე და მიემართა მთავარ პროკურორს რეკომენდაციით აღნიშნულ ორ კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებინა დისციპლინური სახდელის სახე „**შენიშვნა**“;
- გენერალური ინსპექციის მიერ წარდგენილ **1** დასკვნაზე **1** პირის მიმართ საკონსულტაციო საბჭოს მიერ არ იქნა მიზანშეწონილად მიჩნეული დისციპლინური სახდელის გამოყენება. მთავარი პროკურორის მიერ გაზიარებული იქნა საკონსულტაციო საბჭოს მოსაზრება და **1** პროკურორის მიმართ შეწყდა დისციპლინური წარმოება;



30.05.2016

- საბჭოზე წარდგენილ დანარჩენი 2 დასკვნის განხილვა 2 პირის მიმართ მოიხსნა დღის წესრიგიდან, ვინაიდან აღნიშნული 2 თანამშრომელი საკონსულტაციო საბჭოს სხდომის გამართვამდე პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა პროკურატურის სისტემიდან.

**გამოძიებისა და საპროკურორო საქმიანობის მონაცემები:**

2016 წლის 01 იანვრიდან 2016 წლის 30 მაისამდე პერიოდში საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში :

- გამოძიება დაიწყო 7 სისხლის სამართლის საქმეზე;
- სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ, მოქალაქის მიერ, პროკურატურის სახელის გამოყენებით სხვისი კუთვნილი 18 800 აშშ დოლარის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით;
- აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო შეეფარდა 1 პირს;
- გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 3 საქმეზე 4 პირის მიმართ:
  - არსებითი განხილვით - 2 საქმეზე 3 პირის მიმართ, კერძოდ: 1 საქმეზე 2 ადვოკატის მიმართ თაღლითობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით; აგრეთვე, 1 საქმეზე პროკურატურის ყოფილი მუშაკის მიმართ, სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლით.
  - საპროცესო შეთანხმებით - 1 საქმეზე 1 პირის - პროკურატურის მრჩეველის მიმართ საქართველოს სსკ-ის 151-ე და 353-ე მუხლის პირველი ნაწილით.
- გამოძიება შეწყდა 1 სისხლის სამართლის საქმეზე;
- ამჟამად გამოძიებას ვაწარმოებთ 34 სისხლის სამართლის საქმეზე;
- სასამართლოში არსებითი განხილვა მიმდინარეობს სისხლის სამართლის 29 საქმეზე 37 პირის მიმართ; კერძოდ: 27 პირის მიმართ - მოქალაქეების მიერ ყალბი აზომვითი ნახაზების საფუძველზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 947 760 ლარის ღირებულების მიწის ნაკვეთების მისაკუთრების ფაქტზე; მიწის ყალბი აზომვითი ნახაზის შემდგენი 7 პირის მიმართ; საჯარო რეესტრის 2 თანამშრომლის მიმართ, სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე; 1 ნოტარიუსის მიმართ სამსახურებრივი გულგრილობისა და სამსახურებრივი სიყალბის ფაქტებზე;



30.05.2016

საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის მიერ საქართველოს მთავარი პროკურორის ბრძანებების შესრულებაზე კონტროლისა და საქართველოს პროკურატურის მუშაკების სასამართლო სხდომებზე დროულად გამოცხადების, მათი ჩაცმულობის და სამსახურებრივი მოწმობის ტარების წესის შემოწმების მიზნით 2016 წლის 01 იანვრიდან და 30 მაისის ჩათვლით პერიოდში ორჯერ განხორციელდა სასამართლო სხდომების მონიტორინგი, რომელმაც მოიცვა საქართველოს ყველა რაიონული და საქალაქო სასამართლო, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოები, მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა რა ბრძანებების მოთხოვნების დარღვევები, საქართველოს პროკურატურის სტრუქტურული და ტერიტორიული დანაყოფების ხელმძღვანელებს და კონკრეტულად 6 პროკურორს მიემართათ სარეკომენდაციო წერილით, რათა უზრუნველყონ მათი თანამშრომლების მიერ პროკურატურის მუშაკისათვის შესასრულებლად სავალდებულო ბრძანებებისა და ინსტრუქციების შესრულება.

საქართველოს პროკურატურის მუშაკების მიერ პროკურატურის შინაგანაწესის და სამსახურში გამოცხადების და სამსახურიდან გასვლის დაფიქსირების ვალდებულების შესახებ ბრძანების მოთხოვნების შესრულების შემოწმება-კონტროლის მიზნით, 2016 წლის 01 იანვრიდან განხორციელდა შემოწმება, რის შედეგადაც საქართველოს პროკურატურის სისტემის 21 მუშაკს მიემართა სარეკომენდაციო წერილით, რათა მოახდინონ საქმიანობის მეთოდების სრულყოფა, განუხრელად შეასრულონ პროკურატურის მუშაკისათვის დაკისრებული მოვალეობები, პროფესიული საქმიანობა განახორციელონ პროკურატურის მუშაკის თანამდებობის შესაბამისი დისციპლინის და პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტით.


გენერალური ინსპექცია უზრუნველყოფს ასევე მთავარი პროკურატურის „ცხელი ხაზის“ ფუნქციონირებას. 2016 წლის 01 იანვრიდან 2016 წლის 30 მაისამდე პერიოდში პროკურატურის გენერალური ინსპექციის ცხელ ხაზზე 97 პირის მიერ დატოვებული იქნა 111 შეტყობინება.

თვალსაჩინოებისათვის წარმოგიდგენთ საილუსტრაციო ცხრილებს გენერალური ინსპექციის „ცხელ ხაზზე“ თვეების მიხედვით შემოსული შეტყობინებების ოდენობების, თემატიკისა და დანაყოფების მიხედვით.




30.05.2016

## მოქალაქეთა მიერ დატოვებული შეტყობინებები თემატიკის მიხედვით





**„ცხელ ხაზზე“ 2016 წელს შემოსული შეტყობინებები (მთავარი პროკურატურის, თბილისის პროკურატურის და ოლქების მითითებით):**



საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში შემოსულ საჩივარ-განცხადებებზე და „ცხელ ხაზზე“ მიღებულ შეტყობინებებზე დანაყოფის მიერ ხდება დაუყოვნებლივი რეაგირება.

**მოწმის დაკითხვის ახალი წესის ამოქმედება**

2016 წლის დასაწყისში ამოქმედდა მოწმის გამოკითხვა/დაკითხვის ახალი წესი. იმისათვის, რომ პროკურორები ახალი კანონმდებლობის ამოქმედებას მომზადებულები შეხვედროდნენ, შემუშავდა რეკომენდაციები გამოკითხვის/დაკითხვის სამართლებრივ საკითხებზე, მომზადდა გამოკითხვის/დაკითხვის ოქმები. კანონის ამოქმედებამდე მოხდა ტრენერი პროკურორების მომზადება, რომლებმაც სისტემის ყველა პროკურორი და გამომძიებელი გადაამზადეს. ამჟამად აშშ-ს საელჩოს (INL-ის) დახმარებით მიმდინარეობს სისტემის გამომძიებლების გადაამზადება გამოკითხვის



30.05.2016

მეთოდუკასა და ფსიქოლოგიურ ნაწილში. ინტენსიური გადამზადებისა და ამერიკის საელჩოს აქტიური მხარდაჭერით პროკურატურა მოწმის გამოკითხვის/დაკითხვის ახალ წესს მომზადებული შეხვდა. კანონის ამოქმედების შემდეგ გაანალიზდა გამოკითხვის/დაკითხვის პრაქტიკა. ანალიზმა ცხადყო, რომ გამოკითხვის ახალი წესის დანერგვა პრაქტიკაში შეუფერხებლად მიმდინარეობს.

### ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა

გასულ წელს ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთი პრიორიტეტი იყო. ეფექტური სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელებისა და დანაშაულის პრევენციის მიზნით:

- 2014-2015 წლებში განხორციელდა ძალადობის ფაქტების მასშტაბური კვლევა;
- პროკურატურის მიერ შესწავლილი იქნა ძალადობის 5000-ზე მეტი ფაქტი;
- განხორციელდა გამოძიების პროცესში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირება;
- მომზადდა რეკომენდაციები პროკურორებისთვის ოჯახური ძალადობის ფაქტების გამოძიებისას ჩასატარებელი აუცილებელი საგამომიებო მოქმედებების შესახებ;
- განისაზღვრა მკაფიო სისხლის სამართლის პოლიტიკა;
- განხორციელდა სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგი რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის გარკვევის მიზნით;
- განხორციელდა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთა გადამზადება ოჯახური ძალადობის თემაზე;
- 2016 წლის 22 მარტს საქართველოს პროკურატურის ინიციატივით ჩატარდა კონფერენცია ოჯახში ძალადობის თემაზე, რომელსაც სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებთან ერთად არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნა პროკურატურის ხედვა ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მოძალადეთა მიმართ გასატარებელი სისხლის სამართლის პოლიტიკის შესახებ;
- პროკურორების მონაწილეობით ჩატარდა არაერთი ღონისძიება, რომელიც მიზნად დანაშაულის შესახებ ცნობიერების ამაღლებას ისახავდა.



30.05.2016

შედეგად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ოჯახური დანაშაულის ფაქტებზე რეაგირების მდგომარეობა, გაორმაგდა დანაშაულის გამოვლენის მაჩვენებელი, უზრუნველყოფილი იქნა გამოძიების სწორი კვალიფიკაციით დაწყება და დაზარალებულისთვის საპროცესო სტატუსის დროულად მინიჭება.

2016 წლის მაისში პროექტ „ადგილობრივი საბჭო“-ს ფარგლებში ბათუმში ჩატარდა მთელი რიგი ღონისძიებები ოჯახური დანაშაულის პრევენციის და ცნობიერების ამაღლების მიზნით. ერთი კვირის განმავლობაში პროკურორებმა შეხვედრები გამართეს მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, სტუდენტებთან, მოსახლეობასთან, რომლებსაც გააცნეს ოჯახური დანაშაულის შესახებ საკანონმდებლო რეგულაციები და მიაწოდეს ინფორმაცია დანაშაულის მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების შესახებ. მოსახლეობას დაურიგდა საინფორმაციო ბროშურები.

#### სქესობრივი კავშირი 16 წლის ასაკს მიუღწევლთან (სსკ-ის 140-ე მუხლი)

2015-2016 წლებში პროკურატურისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება იყო საქართველოს სსკ-ის 140-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული - სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება 16 წლის ასაკს მიუღწევლთან.

დანაშაულის პრევენციის და ეფექტური სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელების მიზნით, პროკურატურამ გაანალიზა 2015 წლის ყველა ის ფაქტი, რომელზეც გამოძიება სსკ-ის 140-ე მუხლით მიმდინარეობდა. ანალიზის შედეგები გასაჯაროვდა და აღნიშნულ თემაზე სახელმწიფო უწყებების, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით დისკუსია გაიმართა.

2016 წლის მაისში პროექტ „ადგილობრივი საბჭო“-ს ფარგლებში ბათუმში ჩატარდა მთელი რიგი ღონისძიებები დანაშაულის პრევენციის და ცნობიერების ამაღლების მიზნით. ერთი კვირის განმავლობაში პროკურორებმა შეხვედრები გამართეს მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, სტუდენტებთან, მოსახლეობასთან, რომლებსაც გააცნეს 16 წლის ასაკს მიუღწეველ პირთან სქესობრივი კავშირის შესახებ საკანონმდებლო რეგულაციები და მიაწოდეს ინფორმაცია დანაშაულის მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების შესახებ. მოსახლეობას დაურიგდა საინფორმაციო ბროშურები.





30.05.2016

## დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის მიზნით, საქართველოს მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს მიერ პროკურორებისთვის 2015 წელს შემუშავდა რეკომენდაცია „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3<sup>1</sup> ნაწილის, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების პრაქტიკაში გამოყენების თაობაზე“. რეკომენდაციის მიზანია მითითებული ნორმის შინაარსის განსაზღვრა და მისი საპროკურორო საქმიანობაში გამოყენების უზრუნველყოფა. რეკომენდაციაში შემოთავაზებულია ისეთი ტერმინების განმარტება, როგორცია მაგ: სექსუალური ორიენტაცია, სქესი, გენდერი და ა.შ. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების კვალიფიკაცია, გამოძიების მიმდინარეობისას გასათვალისწინებელი საკითხები და მტკიცებულებათა მოპოვება, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების თაობაზე სტატისტიკური მონაცემების შეგროვება. რეკომენდაცია განხილული იქნა ევროსაბჭოს ექსპერტის მიერ და ამოქმედდა 2016 წლის 22 იანვარს.

2015 წლის ნოემბრიდან ევროსაბჭოსთან თანამშრომლობით მუშაობა დაიწყო დისკრიმინაციის თემაზე პროკურორებისთვის სპეციალური სასწავლო პროგრამის, მასალების შემუშავებასა და სისტემის შიგნით ტრენერთა გუნდის მომზადებაზე. 2015-2016 წლებში ტრენერთა ტრენინგის ორი ეტაპი განხორციელდა.

2015 წელს დისკრიმინაციის ყველა ფორმით აკრძალვისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის თემაზე პროკურორებისათვის სულ 8 სასწავლო აქტივობა ჩატარდა, რომელიც პროკურატურის სისტემის 90-მა წარმომადგენელმა გაიარა. მათი ნაწილი შსს-თან თანამშრომლობით განხორციელდა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ერთიანი მიდგომებისა და საერთო პრაქტიკის დანერგვას.

2016 წელს პროკურორებმა და პროკურატურის სისტემის გამომძიებლებმა გაიარეს ტრენინგი - სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ეფექტიანი გამოძიების თემაზე. სასწავლო კურსს ეუთოს ადამიანის უფლებების ოფისის წარმომადგენლები და ქართველი ექსპერტები უძღვებოდნენ. ტრენინგები 2 ჯგუფისთვის განხორციელდა და სულ პროკურატურის სისტემის 42-მა წარმომადგენელმა გაიარა. ეს იყო პირველი ტრენინგი, რომელიც სახალხო დამცველის აპარატთან



30.05.2016

თანამშრომლობით - „სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიის მხარდაჭერის“ პროექტის ფარგლებში განხორციელდა.

გარდა აღნიშნულისა, საქართველოს მთავარ პროკურატურასა და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისს შორის მიღწეული იქნა შეთანხმება, რომლის შედეგადაც საქართველოს პროკურატურაში განხორციელდება ე.წ. ПАНСТ (სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე პროკურორთა ტრენინგი) პროგრამა, რომლის დანერგვით პროკურატურის მუშაკები აიმაღლებენ კვალიფიკაციას სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების კუთხით.

### შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვა

2016 წელს საქართველოს მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველომ შეიმუშავა რეკომენდაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობით სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების თაობაზე. დოკუმენტი მოიცავს შესაბამის საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას, მასში გაწერილია გამოძიების მიმდინარეობისას შშმ პირთა დაცვის გარანტიები და მათი სპეციალური საჭიროებებიდან გამომდინარე გასათვალისწინებელი გარემოებები. რეკომენდაცია ოფიციალურად ევროსაბჭოს ექსპერტთან კონსულტაციის შემდეგ ამოქმედდება.

### HELP-ის დისტანციური სწავლების პროგრამა

2016 წელს პროკურორები და პროკურატურის სისტემის გამომძიებლები ანტიდისკრიმინაციის თემაზე დისტანციურ სასწავლო კურსს გაივლიან. ეს არის პირველი დისტანციური სწავლების პროგრამა, რომელიც საქართველოს პროკურატურაში ევროსაბჭოსთან თანამშრომლობით ხორციელდება.

პირველი პროექტის ფარგლებში, 20 პროკურორი და სისტემის გამომძიებელი 3 თვის განმავლობაში სწავლებას დისკრიმინაციის აკრძალვის თემაზე გაივლის. სწავლება HELP-ის პლატფორმის გამოყენებით განხორციელდება, რომელიც პროფესიონალი იურისტებისთვის არის განკუთვნილი და ადამიანის უფლებათა სხვადასხვა თემებს მოიცავს.

სასწავლო პროგრამა მომზადებულია ევროსაბჭოს საერთაშორისო ექსპერტების მიერ და ის თითოეულ მონაწილეს შესაძლებლობას მისცემს გაეცნოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის



30.05.2016

პრინციპებს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს და ჰქონდეს ფართო წარმოდგენა იმ საერთაშორისო და ევროპულ ინსტრუმენტებზე, რომლებიც დისკრიმინაციას ებრძვიან. დისტანციური სწავლების მოდული, თეორიულ მასალებთან ერთად, დატვირთულია პრაქტიკული დავალებებითა და სავარჯიშოებით.

ადამიანის უფლებათა დაცვა საქართველოს პროკურატურის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს და ამ მიმართულებით თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების პროცესი მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება. ამასთან, სისტემაში განათლების თანამედროვე მეთოდებისა და დისტანციური სწავლების დანერგვა, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სწავლების ხელმისაწვდომობის ზრდასა და რესურსების დაზოგვას.

### პროექტი „ადგილობრივი საბჭო“

პროკურატურის რეფორმის შემდგომ, უწყებამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი მიდგომები დანერგა - ამ პროცესში მაქსიმალურად არის უზრუნველყოფილი სხვა სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო სექტორის ჩართულობა.

2016 წლის 10 მარტს გაიმართა პროექტ „ადგილობრივი საბჭოს“ პრეზენტაცია. „ადგილობრივი საბჭო“ შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედი მოდელის მიხედვით და წარმოადგენს რეგიონალურ დონეზე საკოორდინაციო ორგანოს. საბჭოში გაწევრიანებული არიან სამართალდამცავი ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის, აღმასრულებელი ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და საზოგადოების სხვა წევრები.

„ადგილობრივი საბჭოს“ ძირითადი ფუნქციაა რეგიონში არსებული კრიმინოგენული მდგომარეობის განხილვა, რეგიონისთვის საჭირო პრევენციულ ღონისძიებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება, ინიციატივების შემუშავება, სხვა სახელმწიფო უწყებებთან და არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობით, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინირებული გეგმის დასახვა. „ადგილობრივი საბჭო“ მიზნად ისახავს ასევე საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების გააქტიურებას.

„ადგილობრივი საბჭო“ პილოტურად ბათუმში დაიწყო და 2016 წელს დამატებით გავრცელდება მაღალმთიან აჭარაში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, სამცხე-ჯავახეთში და ქვემო ქართლში.



30.05.2016

2016 წლის 03 მაისს ბათუმში ჩატარდა ადგილობრივი საბჭოს პირველი სამუშაო შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც საბჭოს წევრებმა ოჯახური დანაშაულის და 16 წელს მიულწეველ პირთა სქესობრივი კავშირის პრევენციის გეგმა დასახეს. კვირის განმავლობაში ბათუმში გაიმართა მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც რეგიონში გავრცელებული დანაშაულების პრევენციას ისახავდა მიზნად. პროკურატურის წარმომადგენლები მოსწავლეებს, მასწავლებლებს, სტუდენტებს და მოსახლეობას შეხვდნენ. ბათუმის საჯარო სკოლაში განხორციელდა პროექტი „იმიტირებული გამოძიება“.

### დანაშაულის პრევენცია

2015-2016 წლებში საქართველოს პროკურატურამ, დანაშაულის პრევენციის მიზნით, არაერთი პროექტი განახორციელა:

- თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, რუსთავის, მცხეთის სკოლებში განხორციელდა პროექტი „იმიტირებული გამოძიება“ და მასში მონაწილეობა 200-მდე მოსწავლემ მიიღო. პროექტი, რომელსაც პროკურატურა 2014 წლიდან ახორციელებს, მიზნად ისახავს დანაშაულთან ბრძოლაში საზოგადოების როლის გაცნობიერებას, სამართლებრივი ცოდნის გაღრმავებას და მოზარდთა შორის დანაშაულის პრევენციას. პროექტის ფარგლებში პროკურორები მოსწავლეებს აწვდიან ინფორმაციას სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის, გამოძიების ეტაპებისა და ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების, დანაშაულის არსისა და სხვა სამართლებრივი საკითხების შესახებ;
- თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და ზუგდიდის პროკურატურების ორგანიზებით განხორციელდა პროექტი „ერთი დღე პროკურორად“. პროექტის ფარგლებში პროკურატურების ოფისებმა ადგილობრივი უნივერსიტეტების იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს უმასპინძლეს. სტუდენტებმა ერთი დღე გაატარეს პროკურატურის ოფისებში და დააკვირდნენ პროკურორის საქმიანობას. აღნიშნული პროექტი სტუდენტებს წარმოდგენას უქმნის პროკურატურის საქმიანობაზე, რაც თავის მხრივ, ეხმარება მათ სამომავლო პრაქტიკული საქმიანობის სწორად განსაზღვრაში;
- ჩატარდა შრომითი ტრეფიკინგის წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანია. დასავლეთის, სამეგრელოს და აჭარის რეგიონებში განხორციელდა საინფორმაციო შეხვედრები 1000-მდე მოსახლესთან;



30.05.2016

- 2015 წელს პროკურატურაში, არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, რისკ-ჯგუფის ბავშვებს ჩაუტარდათ **დებატების უნარ-ჩვევების ტრენინგი** და იმიტირებული თამაში, რომელიც მიზნად ისახავდა ძალადობის გარეშე კონფლიქტების გადაჭრის სწავლებას.

### კვალიფიციური კადრების მოზიდვა

პროკურატურის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია სისტემაში კვალიფიციური, მაღალი პროფესიული სტანდარტების მქონე და განვითარებაზე ორიენტირებული კადრების მოზიდვა. 2015 წლის ბოლოს გამოცხადებულ სტაჟიორთა კონკურსში 1300-ზე მეტი მსურველი დარეგისტრირდა. კონკურსსანტებმა 3 ეტაპიანი შერჩევა გაიარეს და საბოლოოდ 62 საუკეთესო კანდიდატი შეირჩა, რომლებიც სპეციალურ მოსამზადებელ კურსს საქართველოს მთავარ პროკურატურაში გადიან. სწავლების პროცესის დასრულების შემდეგ, წარმატებული კანდიდატები სტაჟირებაზე საქართველოს პროკურატურის სხვადასხვა ტერიტორიულ ორგანოებში გადნაწილდებიან.

სტაჟიორების კონკურსის წესით მიღების დაწყებიდან დღემდე, პროკურატურის ორგანოებში სულ სტაჟირება გაიარა 500-ზე მეტმა პირმა. ყოფილი სტაჟიორებიდან დღეს პროკურატურაში პროკურორისა და გამომძიებლის თანამდებობაზე მუშაობს 289 ადამიანი. დღეის მდგომარებით პროკურატურის ორგანოებში მომუშავე 449 პროკურორიდან 241 ყოფილი სტაჟიორია (აქედან ქალია - 72), ხოლო 94 გამომძიებლიდან კი 48 ყოფილი სტაჟიორია (აქედან ქალია - 5). დღეს ყოფილი სტაჟიორები შრომით საქმიანობას ეწევიან მთავარი პროკურორის, მთავარი პროკურორის მოადგილის, დეპარტამენტის უფროსებისა და მათი მოადგილეების, სამმართველოს უფროსების, საოლქო და რაიონული პროკურორების თანამდებობებზე.

### პროკურორთა პროფესიული განვითარება

საქართველოს პროკურატურა უკანასკნელ წლებში ორიენტირებული იყო პროკურორთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, პროკურორების/გამომძიებლების ყოველდღიურ საქმიანობაში საერთაშორისო სტანდარტებისა და ევროპული პრეცედენტული სამართლის დანერგვაზე.

2015 წლის დეკემბრიდან დღემდე 44 სასწავლო აქტივობა განხორციელდა, რომელშიც 1038 მსმენელმა მიიღო მონაწილეობა. აღნიშნული 44%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემებს.

- **არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ახალი კოდექსის და მოწმის დაკითხვის/გამოკითხვის ახალი წესის მიხედვით პროკურორთა გადამზადება** საკანონდებლო



30.05.2016

ცვლილებების ამოქმედებამდე განხორციელდა. ამ ეტაპზე პროკურატურა აქტიურად თანამშრომლობს აშშ-ს საელჩოსთან, რათა დაკითხვის/გამოკითხვის უნარებთან და მეთოდუკასთან დაკავშირებით ეტაპობრივად სისტემის ყველა გამომძიებელი გადამზადდეს;

- **დაკავებისა და პატიმრობის ევროპულ სტანდარტებზე** გადამზადება პროკურატურის ყველა პროკურორმა გაიარა. ევროკავშირისა და ევროსაბჭოს დახმარებით სათანადოდ მომზადებულმა 15-მდე ტრენერმა პროკურორმა სისტემის ყველა სხვა პროკურორი გადამზადა;
- **წამებისა და არასათანადო მოპყრობის გამოძიებისა და სწორი კვალიფიკაციის თემაზე** 2015 წლის ნოემბრიდან 3 სასწავლო აქტივობა განხორციელდა. პირველ ტრენინგში პროკურორებთან ერთად, მოსამართლეებიც მონაწილეობდნენ. ამ მიმართულებით განმეორებითი პრაქტიკული კურსი პროკურორებისთვის 2016 წლის იანვარში განხორციელდა. ტრენინგებზე მომხსენებლად მოწვეული იყო ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა ექსპერტი ჯერემი მაკბრაიდი. პროექტი ევროსაბჭოსთან თანამშრომლობით განხორციელდა და სულ სისტემის 60 პროკურორი და გამომძიებელი გადამზადდა;
- ევროსაბჭოსთან თანამშრომლობით 2016 წლიდან **სამართლიანი სასამართლოს** სტანდარტების თემაზე პროკურორთა გადამზადება დაიწყო. შედეგად, პროკურატურას უკვე ჰყავს სერტიფიცირებული 20 ტრენერი, რომლებიც სამომავლოდ თავიანთი კოლეგების კვალიფიკაციის ამაღლებაზე იზრუნებენ;
- 2016 წლის აპრილში პროკურორებისთვის განხორციელდა ტრენინგი **პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაზე**, რომელიც 21-მა მსმენელმა გაიარა. პროექტი ევროსაბჭოსთან თანამშრომლობით ჩატარდა. აღნიშნული მიმართულებით, წლის ბოლომდე დამატებით 2 ტრენინგის განხორციელება იგეგმება;
- აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტთან თანამშრომლობით, პროკურორების გადამზადება **სასამართლო უნარ-ჩვევების, მათ შორის ნაფიც მსაჯულთა თემაზე** გასული წლის ბოლოდან დაიწყო და მიმდინარე წელსაც გაგრძელდა. არსებული საჭიროებიდან და მოთხოვნიდან გამომდინარე, საწყის ეტაპზე აქცენტი გაკეთდა საოლქო პროკურატურებზე. ტრენინგები ჩატარდა სამეგრელოს, დასავლეთ საქართველოს, კახეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურებში, აგრეთვე აჭარის ა/რ პროკურატურაში. ამ მიმართულებით გადამზადება მომავალშიც გაგრძელდება და აღნიშნულ კურსს ყველა პროკურორი გაივლის;





30.05.2016

- 2016 წლის აპრილში დაიწყო პროკურორთა გადამზადება **სამართლებრივ წერაში**. ტრენინგი ევროსაბჭოს მხარდაჭერით ჩატარდა და მასში მონაწილეობა 10-მა ტრენერმა პროკურორმა მიიღო. სათანადოდ მომზადებული ტრენერები წლის განმავლობაში სხვა პროკურორებს გადაამზადებენ.

სასწავლო აქტივობები განხორციელდა ასევე შემდეგი მიმართულებით:

- ეფექტიანი საჯარო გამოსვლა, კომუნიკაცია და მედიასთან ურთიერთობა;
- ფულის გათეთრების გამოძიება;
- კიბერნადაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა;
- საზღვარზე მიგრანტის უკანონო გადაყვანა;
- კორუფციული დანაშაულები;
- ტრეფიკინგი.

### მედიასთან ურთიერთობის ამსახველი დოკუმენტი

მედიასთან თანამშრომლობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, აშშ-ს საელჩოსა და ევროკავშირის მხარდაჭერით, მომზადდა მედიასთან ურთიერთობის დოკუმენტი, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებას ეფუძნება და რომელიც მოსაზრებების გამოსახატად პროკურატურამ მედიის წარმომადგენლებს უკვე გააცნო. დოკუმენტი ადგენს მედიასთან პროკურორთა ურთიერთობის სტანდარტებს და განსაზღვრავს ინფორმაციის გაცემის ფარგლებს. დოკუმენტი უახლოეს მომავალში განმეორებით წარედგინებათ მედიის წარმომადგენლებს, რის შემდეგაც მოხდება მისი პრაქტიკაში დანერგვა და პროკურორებისთვის გაცნობა.

### საზოგადოებასთან ურთიერთობა

#### საჯარო ინფორმაცია

საქართველოს მთავარ პროკურატურაში 2016 წლის 13 მაისის მდგომარეობით საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სულ 128 განცხადება შემოვიდა.

წარმოდგენილი განცხადებებიდან საჯარო ინფორმაცია განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად სრულად გაიცა 73 შემთხვევაში, 09 შემთხვევაში განცხადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, 01 შემთხვევაში განცხადება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის






30.05.2016

შესაბამისად გადაეგზავნა უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს, 26 შემთხვევაში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, 02 შემთხვევაში წარმოდგენილი განცხადება დატოვებულ იქნა განუხილველად, 17 განცხადებაზე კი მიმდინარეობს ინფორმაციის მოძიება/დამუშავება.

### საჯარო ინფორმაციის გაცემის მდგომარეობა



საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გამო 04 შემთხვევაში დაინტერესებული მხარის მიერ წარმოდგენილი იქნა ადმინისტრაციული საჩივარი, საიდანაც ორი დაკმაყოფილდა, ერთი არ იქნა განხილული, როგორც არაუფლებამოსილი პირის მიერ წარმოდგენილი, ხოლო ერთზე მიმდინარეობს წარმოება.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ნაწილობრივ უარის თქმისას საქართველოს პროკურატურის მიერ მიჩნეულ იქნა, რომ დაინტერესებული პირის მოთხოვნა ნაწილობრივ უკავშირდებოდა სისხლის სამართლის საქმის წარმოებასა და პირის სისხლისსამართლებრივ დევნას, ასევე პირის პერსონალური მონაცემების განსაჯაროებას. ამასთან, ნაწილობრივ მოთხოვნილი იქნა ისეთი ინფორმაცია, რომლის აღრიცხვას საქართველოს პროკურატურა არ აწარმოებდა. შესაბამისად, დაინტერესებულ პირს მიეწოდა საქართველოს პროკურატურაში დაცული ინფორმაცია და ასევე ის ინფორმაცია, რომელიც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, მიჩნეულია საჯაროდ.

განუხილველად იქნა დატოვებული საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით წარმოდგენილი ის განცხადებები, რომლებიც არ პასუხობდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე



30.05.2016


და 83-ე მუხლების მოთხოვნებს, კერძოდ წარმოდგენილ განცხადებას თან არ ერთვოდა შესაბამისი უფლებამოსილების დამდგენი დოკუმენტი, წერილობითი თანხმობა/მინდობილობა პირისა, რომლის შესახებ ინფორმაციაც გახლდათ მოთხოვნილი.

საჯარო მოსამსახურეთა მიერ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევის და პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელის დადების შემთხვევა საქართველოს მთავარ პროკურატურაში 2016 წლის 13 მაისის მდგომარეობით არ გამოვლენილა.

საქართველოს მთავარი პროკურატურა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ეყრდნობოდა საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

### პარლამენტიდან შემოსული წერილები

2015 წლის 01 დეკემბრიდან 2016 წლის 09 მაისის ჩათვლით პერიოდში მთავარ პროკურატურაში საქართველოს პარლამენტიდან შემოვიდა 486 წერილი, რომელთაგან 363-ს გაეცა პასუხი, ხოლო 123 წერილი შესწავლის პროცესშია.



აღსანიშნავია, რომ მიმდინარე ეტაპზე შესასწავლი განცხადებების რაოდენობა (123) გამოწვეულია კორესპონდენციის მოცულობის მკვეთრი ზრდით. კერძოდ, მხოლოდ მიმდინარე წლის მარტში პარლამენტიდან მიღებულია 92 წერილობითი განცხადება, აპრილში - 107, ხოლო 20 მაისამდე უკვე - 53 მაშინ, როცა გასულ თვეებში პარლამენტიდან მიღებული წერილების რაოდენობა საშუალოდ 70-ს შეადგენდა.

### კოორდინატორთა სამსახურის მიერ გაწეული მომსახურება




30.05.2016

2015 წელს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების მომსახურებით სულ ისარგებლა 10491-მა მოქალაქემ. სერვისი მიეწოდათ შემდეგი სტატუსის პირებს:

- განმცხადებლები - 4002 პირი (38%);
- დაზარალებულები - 2507 პირი (24%);
- მოწმეები - 1655 პირი (16%);
- ბრალდებულები, მათი ოჯახის წევრები/ნათესავები ან მათი ადვოკატები - 1374 პირი (13%);
- სხვა პირები - 953 პირი (9%).

კოორდინატორთა მომსახურებით 2015 წელს ისარგებლეს




2016 წლის 4 თვის მონაცემებით მომსახურება გაეწია 3530 პირს, აქედან:

- განმცხადებლები - 1212 პირი (34%);
- დაზარალებულები - პირი 992 (28%);
- მოწმეები - 618 პირი (18%);
- ბრალდებულები, მათი ოჯახის წევრები/ნათესავები ან მათი ადვოკატები - 416 პირი (12%);
- სხვა პირები - 292 პირი (8%);



30.05.2016

### კოორდინატორთა მომსახურებით 2016 წლის 4 თვის განმავლობაში ისარგებლეს



### ბრიფინგები და განცხადებები

2015 წელს მთავარმა პროკურატურამ გაავრცელა 237 განცხადება და ჩაატარა 6 ბრიფინგი, ხოლო 2016 წლის 4 თვეში - 71 განცხადება და 5 ბრიფინგი.

### დაბრუნებული ქონება და დაზარალებულთა აღდგენილი უფლებები

რამდენადაც თქვენთვის ცნობილია, 2015 წლის მარტის თვეში, საქართველოს პროკურატურის და მთავრობის ერთობლივი მუშაობის შედეგად, სამართლიანობის აღდგენის მიზნით გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რის შედეგადაც პროკურატურის სისტემაში შეიქმნა სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი, რომელიც დღეს აქტიურად იძიებს 2012 წლის 1 ოქტომბრამდე მომხდარ, სამართალწარმოების მიმდინარეობისას მოქალაქეთათვის ქონების უკანონოდ ჩამორთმევის, ცემა-წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტებს.

ქონების იძულებით ჩამორთმევის ფაქტებთან დაკავშირებით ჩატარებული გამოძიების და მოპოვებული მტკიცებულებების, გამოვლენილი დანაშაულების ხასიათის, ხერხის და სამართალდამცავებში დამკვიდრებული იმდროინდელი პრაქტიკის გაანალიზების შემდეგ მივდივართ დასკვნამდე, რომ 2012 წლის 01 ოქტომბრამდე პერიოდში მოქალაქეთათვის ქონების იძულებით ჩამორთმევას და დათმობას ჰქონდა ორგანიზებული ხასიათი, სხვადასხვა



30.05.2016

სამართალდამცავი სტრუქტურის თანამშრომლები მოქმედებდნენ საერთო ხელწერით და მაღალი თანამდებობის პირების დავალებით.

სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მუშაობის შედეგად ჯამში დაზარალებული მოქალაქეებისთვის დაბრუნებულია დაახლოებით 15 349 009 ლარის ღირებულების ქონება.

54 დაზარალებულ მოქალაქეს დაუბრუნდა და დაბრუნების პროცესშია :

- 41 ა/მანქანა;
- 9 მიწის ნაკვეთი;
- 3 საცხოვრებელი ბინა;
- 1 საოფისე ფართი;
- 48 დასახელების ოქროს ნაკეთობები;
- აკურას ღვინის ქარხანა;
- გორში მდებარე სასტუმრო კომპლექსი დამაგრებული მიწის ნაკვეთით.
- გორის საცურაო კომპლექსი დამაგრებული მიწის ნაკვეთით.

ქონების დაბრუნება შესაძლებელი გახდა ქონების იძულებით ჩამორთმევის 36 ფაქტის გახსნის და გამოძიების შედეგად, რასთან დაკავშირებითაც

მხილებულია: 27 საჯარო მოხელე.

აქედან, სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო 5 პირის მიმართ (არჩაია; კუზერაშვილი; ადეიშვილი 2 ეპიზოდში; მერაბიშვილი, ლაცაბიძე);

დისკრეცია გამოყენებულ იქნა 20 პირის მიმართ და 1 შემთხვევაში განრიდება;

გამოძიება შეწყდა 2 პირის მიმართ გარდაცვალების გამო.

გარდა ამისა, დასრულდა და სასამართლოში არსებითად განსახილველად წარიმართა ტელეკომპანია „იბერია“-ს იძულებით დათმობისა და ე.წ. „ფოთის პორტის“ საქმეები.

სსსკ-ის 310-312 მუხლების საფუძველზე ჩვენს მიერ 4 სს საქმეზე შეტანილი იქნა შუამდგომლობა სააპელაციო სასამართლოში ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის



30.05.2016

მოტივით. 1 შემთხვევაში მოხსნილ იქნა უკანონოდ წარდგენილი ბრალდება ნაწილში და მსჯავრდებული განთავისუფლდა სასამართლო დარბაზიდან. 2 შემთხვევაში დაყენებული იქნა გამამართლებელი განაჩენი, ხოლო 1 სს საქმეზე სასამართლოს მიერ არ იქნა დაკმაყოფილებული შუამდგომლობა და ამჟამად გასაჩივრებულია საკასაციო წესით.

## დევნის დაწყებისა და განაჩენების მაჩვენებლები მაღალი საზოგადოებრივი

### ინტერესის მქონე საქმეებზე

2015 წლის სექტემბრიდან 2016 წლის მაისის ჩათვლით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო მაღალი რანგის 18 საჯარო მოხელის მიმართ, მათ შორის ძალადობრივ დანაშაულზე მაღალი რანგის 6 საჯარო მოხელის მიმართ.

2015 წლის სექტემბრიდან 2016 წლის მაისის ჩათვლით წამების ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 6 პირის მიმართ, მათ შორის მაღალი რანგის 5 საჯარო მოხელის მიმართ.

2015 წლის სექტემბრიდან მაისის ჩათვლით პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფის ფაქტებთან დაკავშირებით, (157, 158, 159-ე მუხლები) სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 19 პირის მიმართ, მათ შორის 6 საჯარო მოხელის მიმართ.


2015 წლის სექტემბრიდან მაისის ჩათვლით გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იქნა მაღალი რანგის 17 საჯარო მოხელის მიმართ, საიდანაც ძალადობრივი ხასიათის დანაშაულზე მსჯავრდებულია მაღალი რანგის 6 საჯარო მოხელე.



30.05.2016

დევნის დაწყების მაჩვენებელი (2016 წლის 4 თვის შედარება წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან)

სულ დევნის დაწყების მაჩვენებელი








30.05.2016

### დეენის დაწყების მაჩვენებელი ყველაზე მეტად გავრცელებულ დანაშაულებზე

■ 2014 წელი (4 თვე) ■ 2015 წელი (4 თვე) ■ 2016 წელი (4 თვე)






30.05.2016

## დევნის დაწყების მაჩვენებელი (2014-2015 წლები)

### სულ დევნის დაწყების მაჩვენებელი





30.05.2016

### დევის დაწყების მაჩვენებელი ყველაზე მეტად გავრცელებულ დანაშაულებზე

■ 2014 წელი ■ 2015 წელი

